

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა

პროგრამის ხელმძღვანელი: ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელოვნებათმცოდნეობის ქვემომართულების ასოცირებული პროფესორი ირინა სარუხანოვა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: Minor

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის მიზანი: პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს საბაზისო ცოდნა ხელოვნების ცალკეულ მიმართულებებში (მუსიკა, სახვითი ხელოვნება, თეატრი, კინო, ლიტერატურა), გააცნოს ძირითადი ცნებები, ცნობები და პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ ხელოვნების საგნის მხატვრული სახის სპეციფიკას, მის სტრუქტურას, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მექანიზმს.

სწავლის შედეგი და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები

- ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ხელოვნებათმცოდნეობის ცალკეული მიმართულებების სისტემური ცოდნა. შეძენილი სისტემური ცოდნა მას საშუალებას მიცემს გააცნობიეროს ხელოვნების ცალკეული პრობლემების კომპლექსურად გადაჭრის გზები.

- ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

ხელოვნებათმცოდნეობაში დარგობრივი კომპეტენციების შეძენით კურსდამთავრებული შეძლებს ახალი და უახლესი ხელოვნების წინაშე მდგომი კომპლექსური პრობლემების შეფასებას; დაასაბუთებს, თუ როგორ აისახება ეპოქის ესთეტიკური პრინციპები ხელოვნების ამა თუ იმ დარგში, შეძლებს გამოკვეთოს განსახვავებული ეტაპების და მხატვრული მიმდინარეობების ესთეტიკური მახასიათებლები.

- დასკვნის უნარი

კურსდამთავრებული შესწავლილი მასალის გააზრებით შეძლებს ლოგიკურად და დასაბუთებულად დასკვნების ჩამოყალიბებას; ლოგიკური ანალიზისა და სინთეზური აზროვნების საშუალებით იგი ეფექტურად განაზოგადებს ცალკეული ნაწარმოების სტილურ და სემანტიკურ თავისებურებებს თანამედროვე ეპოქის ზოგადი ღირებულებების ფონზე.

- კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებული შეძლებს ქართულ ენაზე საკუთარი შეხედულებების არგუმენტირებულად გადმოცემას აუდიტორიასთან; დისკუსიაში მონაწილეობას და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას.

- სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის.

- ღირებულებები

სტუდენტს ჩამოუყალიბდება პატივისცემის გრძნობა ჰუმანიზმის, მსოფლიო კულტურული ღირებულებების მიმართ; კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება პოზიტიური დამოკიდებულება თავისუფალი აზროვნებისადმი, სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემის გრძნობა.

		დარგობრივი კომპეტენციები		ზოგადი კომპეტენციები			
		ცოდნა, გაცნობ.	ცოდნის პრაქტ. გამ.	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საგნები	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	+	+			+	
	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	+	+			+	
	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 3	+	+	+	+	+	+
	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 1	+	+				
	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 2	+	+		+		+
	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 1	+	+			+	
	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 2	+	+	+	+	+	+
	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	+	+	+		+	+
	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	+	+	+	+	+	+
	ქართული კინოს ისტორია	+	+		+		+
	ქართული მუსიკის ისტორია	+	+		+	+	+
	ქართული თეატრის ისტორია	+	+		+		+

სასწავლო გეგმა

№	კურსი	სკ	ლ/პრ/დამ.მუშ	კრედიტ თა რაოდენო ბა	სემესტრები								წინაპირობა	
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
1	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	3	30/15/80	5			5							
2	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	3	30/15/80	5				5						
3	საზღვარგარეთული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 3	3	30/15/80	5					5					
4	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 1	3	15/30/80	5						5				
5	საზღვარგარეთული კინოს ისტორია 2	3	15/30/80	5							5			
6	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 1	3	30/15/80	5			5							
7	საზღვარგარეთული მუსიკის ისტორია 2	3	30/15/80	5				5						
8	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 1	3	30/15/80	5						5				
9	ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია 2	3	30/15/80	5							5			
10	ქართული კინოს ისტორია	3	15/30/80	5									5	
11	ქართული მუსიკის ისტორია	3	30/15/80	5					5					
12	ქართული თეატრის ისტორია	3	30/15/80	5									5	
სულ				60			10	10	10	10	10	10		

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (B) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.
- სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი:

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი კაბინეტებით, აუდიტორიებით, კომპიუტერული ცენტრებით; სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული).

სწავლების მეთოდები

ლექციასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული იქნება ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობისა და დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია-დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი. პროგრამა ითვალისწინებს ასევე სწავლებისა და სწავლის უახლესი მეთოდოლოგიის - ინფორმაციულ-ტექნიკური მეთოდების - გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც უზრუნველყოფს ცალკეული მოდულის თუ ზოგადად პროგრამის მიზნების განხორციელებას.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებაა ლექციებსა და პრაქტიკულებზე სტუდენტის მაქსიმალური აქტიურობის სტიმულირება, სწავლების პროცესში სტუდენტის შესაძლებლობათა გათვალისწინება და ამავდროულად ამ შესაძლებლობათა სრული რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაქსიმალურად მაღალ შედეგებს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში.